

2005 წლის მეორე ნახევარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტების მიმოხილვა

ირაკლი ქოიავა*

2005 წლის მეორე ნახევარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მიერ მომზადდა შემდეგი კანონპროექტები და საკანონმდებლო პაკეტი:

1. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს: „არბიტრაჟის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ“, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტმა მოამზადა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პროექტი, რომელიც დაახლოებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებულ მოდელურ კანონთან „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“. პროექტი შეესაბამება „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ 1958 წლის 31 დეკემბრის ნიუ-იორკის კონვენციას, რომელიც საქართველოში ძალაშია პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით და ითვალისწინებს ევროპის მოწინავე ქვეყნების (ინგლისი, გერმანია, იტალია, შვედეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები და სხვ.) გამოცდილებას.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ. მოქმედი კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დღევანდელ პირობებში ეკისრება არბიტრაჟს – კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას.

პროექტის თანახმად, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება არის იურიდიული პირი, რომელიც უშუალოდ ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით აწარმოებს საარბიტრაჟო განხილვისა და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების ორგანიზებას და განხორციელებას, უფლებამოსილია, განიხილოს კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავები, რომელთა მოწესრიგება მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. გამარტივებულია და საქმის დროულ განხილვა-გადაწყვეტას ხელს უწყობს პროექტით გათვალისწინებული დებულებები, რომელთა შესაბამისად, სასამართლოში წარმოებული პროცედურები (მხარეთა შორის დავის განსჯადობის შესახებ, არბიტრის აცილების შესახებ) არ აფერხებს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას და გადაწყვეტილების გამოტანას.

კანონპროექტის სიახლეა ნორმა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს უფლება ეძლევათ, კანონით მათთვის მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლება

* საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი.

გადასცენ მესამე პირს. პროექტი ასევე ითვალისწინებს სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლებას. ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლე პირი ხდება საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე და მონაწილეობს საარბიტრაჟო განხილვაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პროექტი ითვალისწინებს მომხმარებლის, როგორც კერძოსამართლებრივი დავის მონაწილე მხარის, დაცვის დამატებით მექანიზმს. საარბიტრაჟო შეთანხმება იმ საქმეზე, რომელშიც მონაწილეობს მომხმარებელი, უნდა გაფორმდეს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ცალკე საბუთის სახით და გადაეცეს თითოეულ მხარეს. აქედან გამომდინარე, იმ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობს მომხმარებელი, საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის სახით.

კანონპროექტით, დავის განმხილველ არბიტრაჟს ენიჭება უფლება, იმსჯელოს, ექცევა თუ არა ესა თუ ის სამართლებრივი დავა საარბიტრაჟო შეთანხმებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროში და მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, კერძოდ: განიხილოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა და ნამდვილობის საკითხი, განიხილოს და გადაწყვიტოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის გადამეტების შესახებ.

კანონპროექტის სიახლეა არბიტრაჟის უფლებამოსილება, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. გარდა ამისა, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან მის ნებისმიერ სტადიაზე მხარეს ან არბიტრაჟს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ზომების მიღების თაობაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

პროექტით მოწესრიგებულია მოქმედი საარბიტრაჟო კანონმდებლობის ხარვეზი საარბიტრაჟო განხილვის ენასთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია, რომ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენებს ადგენს არბიტრაჟი ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის კონკრეტული ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინების საფუძველზე. არბიტრაჟს ენიჭება უფლება, დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე (ენებზე).

არბიტრაჟის კერძოსამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო განხილვის პროცესის წარმართვა მხარეთა ნების შესაბამისად და ამ პროცესში სასამართლოს მინიმალური მონაწილეობა. კანონპროექტის იმპერატიული შინაარსის ნორმა ითვალისწინებს, რომ დაუშვებელია საარბიტრაჟო განხილვის პროცესში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებში მონაწილეობს სასამართლო საარბიტრაჟო დავის განხილვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.

კანონპროექტით დეტალურად არის მოწესრიგებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ინსტიტუტი, რაც წინგადადგმული ნაბიჯია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ მოქმედი კანონის მეტად ზოგად და ბუნდოვან ნორმასთან შედარებით. კერძოდ, დაკონკრეტებულია, თუ რა შემთხვევებშია უფლებამოსილი სასამართლო, გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესების დარღვევის მოტივით. სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვე-

ტილება იმ შემთხვევებში, როდესაც: საარბიტრაჟო შეთანხმება არ არსებობს, ბათილია ან ძალადაკარგულად გამოცხადებული, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. გარდა ამისა, დაკონკრეტებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა (90 დღე მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან).

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებასა და ფართოდ გავრცელებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობის დაახლოებასა და ჰარმონიზაციას მსოფლიოსა და ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობასთან. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2004 წლის დასაწყისში, ხოლო იმავე წლის მარტის თვეში გაიმართა პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები. პრეზენტაციაზე გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთა გათვალისწინებით პროექტი გადამუშავდა, დაიხვეწა და ამჟამად წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

2. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ და „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებს.

„ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანებულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავების ვალდებულება სხვადასხვა ფორმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუაშაგლო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დავალების შესასრულებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი.

კანონპროექტები მიზნად ისახავს ტურისტის, როგორც მომხმარებლის, უფლებების დაცვისა და მათი სრული ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების დაწესებას. კერძოდ, ტურისტული მომსახურების სუბიექტები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ტურისტები ობიექტური, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციით იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობისა და დროებითი გაჩერებისას სთავაზობს ტუროპერატორი ან ტურაგენტი, მოსალოდნელი საშიშროებისა და იმ პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ტურისტს უნდა ეცნობოს აგრეთვე ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისა და იმ სასტუმროს შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები), რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების პაკეტით, ასევე საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების, მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ უზრუნველყონ ტურისტის უფლებების დაცვა და უსაფრთხოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაბამისი ცვლილება შედის „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ავალდებულებს დასაქმების კერძო სააგენტოს, საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში სამუშაოს მაძიებელი უზრუნველყოს იმავე ინფორმაციით, რომელიც გათვალისწინებულია „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით. მითითებული საკითხები ასევე ასახულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო პაკეტი დაიგზავნა შესათანხმებლად დაინტერესებულ უწყებებში და ამჟამად მიმდინარეობს მისი გადამუშავება შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

3. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონის პროექტებს: „სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „ემიგრაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იმიგრაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების მიერ განსახორციელებელი ფუნქციების უფრო ეფექტიანად შესასრულებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შექმნას.

აღნიშნული იურიდიული პირი იქმნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში და მასზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ განხორციელება მომსახურების ისეთი სახეობები, როგორებიცაა: დაბადების, ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლისა და გარდაცვალების ფაქტების რეგისტრაცია; სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება; სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე განმეორებითი მონმობებისა და ცნობების გაცემა; სამოქალაქო აქტების შესახებ საარქივო ფონდის შექმნა, აღრიცხვა და შენახვა; საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა, პირადობისა და ბინადრობის მონმობების გაცემა; საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა და შეცვლა; უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში შესაბამისი პირადობის მონმობების ჩამორთმევა; მოქალაქეებზე ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის გაცემა; საქართველოში გაცემული და უცხო სახელმწიფოში გამოსაყენებლად განკუთვნილი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საბუთების გაფორმება (ლევალიზაცია).

აღნიშნული ფუნქციების საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის გადაცემის ერთ-ერთი მიზანი მის მიერ შემოსავლის საკუთარი წყაროების მოზიდვაა. კერძოდ, გათვალისწინებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის საფასურის დაწესება, რომელიც ამომწურავად იქნება მოწესრიგებული საკანონმდებლო აქტით. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კორუფციის საფრთხეთა მაქსიმალურად შემცირებას, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ამ ორგანოების მოსამსახურეთა შრომის დაბალი ანაზღაურებით. მომსახურების განვითარებული შემოსავლები კი უზრუნველყოფს მათი დამოუკიდებლობის ხარისხისა და შრომის ანაზღაურების ზრდას.

პროექტი გადამუშავდა დაინტერესებული უწყებებისგან მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე და წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

4. კანონის პროექტი „პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს ბანდეროლებისა და ამანათების მიღება-გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით.

აღნიშნული უფლების რეალიზაცია ხშირ შემთხვევაში სასჯელალსრულების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. მიუხედავად სასჯელალსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ამ უფლების განხორციელებაზე მკაცრი კონტროლისა, არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ფარული ხერხის გამოყენებით, ბანდეროლისა თუ ამანათის მეშვეობით, სასჯელალსრულების დაწესებულებაში აღწევს აკრძალული ნივთი, რომლის გამოც უამრავი პრობლემა წარმოიშობა დაწესებულების შიგნით. ამ საკითხისადმი კონტროლის გამკაცრებასთან ერთად იზრდება კორუფციის საფრთხე, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს საქართველოს სასჯელალსრულების სისტემის იმიჯზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს სასჯელალსრულების სისტემაში ევროსტანდარტების დანერგვა. ამ კუთხით სამინისტროს ინტენსიური მუშაობის შედეგად ქ. ქუთაისსა და ქ. რუსთავში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელალსრულების დაწესებულებები, სადაც ახალი წესების იმპლემენტაცია იქნება საჭირო, რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას წარსული სისტემის გადმონაშთებს.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში კონტროლის ახალი ღონისძიებების დანერგვის, კორუფციასთან გამკაცრებული ბრძოლისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონში „პატიმრობის შესახებ“ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, კონკრეტულ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს ის დაწესებულებები, სადაც ნებადართულია მსჯავრდებულის მიერ ბანდეროლებისა და ამანათების მიღება-გაგზავნა ადმინისტრაციის კონტროლით და დაწესებულებები, სადაც ამ უფლებით სარგებლობა შეიზღუდება.

იმ დაწესებულებაში, სადაც იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე აიკრძალება მსჯავრდებულის მიერ ბანდეროლებისა და ამანათების მიღება-გაგზავნა ადმინისტრაციის კონტროლით, ამუშავდება მსჯავრდებულთათვის დახმარების მიღების ახალი მექანიზმი, რომელიც უმტკივნეულოდ და ცივილიზებული ფორმით გადაჭრის ამ საკითხს, კერძოდ:

სამართლებრივი ტანდენცია

დანესებულებაში, სადაც დანესდება ამ სახის აკრძალვა, გაიხსნება სავაჭრო ჯიხური, რომელშიც ანგარიშსწორება განხორციელდება საბანკო ანგარიშის მეშვეობით. პირს, რომელსაც სურდა ამანათისა თუ ბანდეროლის გადაცემა მსჯავრდებულისათვის, ამ შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება, საბანკო ოპერაციით უმოკლეს ვადაში, უმარტივესი პროცედურით დაურიცხოს ზღვრული თანხა, რომლის ხარჯვაც მსჯავრდებულს შეეძლება ზემოაღნიშნულ ჯიხურში, განსაზღვრული ლიმიტის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს სათანადო ცვლილებებსა და დამატებებს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე, 36-ე და 92-ე მუხლებში, რომელთა შესაბამისად, პატიმრებსა და მსჯავრდებულებს ეკრძალებათ ბანდეროლებისა და ამანათების მიღება იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დანესებულებებში.

კანონპროექტის სიახლეა ცვლილება, რომლის თანახმადაც მსჯავრდებულს კვების პროდუქტების შესაძენად პირადი თანხის გამოყენების უფლება ექნება სასჯელაღსრულების დანესებულების დირექტორის ნებართვის გარეშე. კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებაში. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მიიღო სამივე მოსმენით.